შაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 16 № 219

წელიწადი მეოთხე

შაბათი. 1918 წ. გიორგობისთვის 16 № 219

ფასი—თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

უკანასკნელი ცნობები

გერმანიაში შესდგა ახალი მთავრობა დამოუკიდებელთა და შეიდემანთა მეთაურობით.

ბერლინში შესდგა სრულიად გერმანიის საბჭოთა ყრილობა.

გერმანიის ჯარი სტოვებს დაპყრობილ ადგილებს.

რუმინიამ გერმანიას ომი გამოუცხადა.

ბრძოლის ასპარეზებზე გერმანელ ჯარებმა საბჭოები დაარსეს.

გერმანიაში სამხედრო საბჭოს მობილიზაცია ხდება.

გამოქვეყნდა 35 მუხლად ახალი შემსუბუქებული საზავო პირობები.

გერმანიის მთავრობამ შეერთებულ შტატების მთავრობას ნოტა გაუგზავნა, რომლითაც სთხოვს საზავო მოლაპარაკების დაჩქარებას და აცნობოს თუ სად და როდის დაიწყება იგი.

ელზასის მეორე პალატის წევრებმა გამოაცხადეს თავის თავი ელზას ლორენის საბჭოდ და დროებითი ადმინისტრატიული კომიტეტი გამოჰყვეს.

ოსმალეთში შესდგა თევრიკ-ფაშის ახალი კაბინეტი, რომელშიც „პროგრესისა და ერთობის“ არც ერთი წევრი არ შედის.

ენვერ-ფაშა და თალაათ-ფაშა სტამბოლიდან გაიქცნენ.

სირია და არაბეთი 10 გიორგობისთვეს დამოუკიდებლად გამოცხადდა.

სტამბოლიდან თბილისში ჩამოვიდა საქართველოს საზავო დელეგაციის და პარლამენტის წევრი გიორგი გვაზავა.

გრიგოლ ზაქარიას ძე ქურდიანი მეუღლითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ გიორგობისთვის 12-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა საყვარელი რძალი

ნინო ალექსანდრეს ასული ქურდიანისა

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 ს., საკუთარ ბინაზე (ანჩისხატის ქ., სახლი № 5), გამოსვენება კვირას, 17 გიორგობისთვეს, ანჩისხატის ტაძარში დილის 10 ს. (1—1870—1)

ღრმად მწუხარენი გიორგი ნიკოლოზის ძე კვეზერელი კოპაძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 17-ს გიორგობისთვეს ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი

თამარ ლუკას ასული კვეზერელი-კოპაძის

სულის მოსახსენებლად.
წირვა დაიწყება დილის 9 ნახ. საათზედ.
(1–1872—1).

ღრმად დამწუხარებულნი: ბახვა კიმოთეს ძე, ტატუშა, ხუტუ და ანნა ბახვას ასულნი დადიანები, მარიამ ბახვას ასული მელიქიასა. პისტი ბახვას ასული ფიფიასა, პროკოპი ბესარიონის ძე მელიქია და ათანასი ბახვასძე ფიფია, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი დაუვიწყარი ძის, მეორენი და მესამენი ძმის, ხოლო დანარჩენნი ცოლის ძმის

დანიელ ბახვას ძის დადიანის

უდროოდ გარდაცვალებას

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 საათზე. ს. ქალადიდი სადგურის ახლო. დასაფლავების დღე დანიშნულია კვირას 17 გიორგობისთვეს (ახალი სტილით). 1—1871—1

ფრანგული კლუბი
ბავშვებისა და მოზარდებისთვის
იხსნება კვირას, 17 გიორგობისთვეს

ჩაწერა ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. მუსიკალურ ინსტიტუტის სადგომში (მიხეილის და კირკის კუთხე № 89.
(1—1873—1).

ქართული ლატარია

* *
*

ვისაც კი უყვარს ქვეყანა
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე-ბედზე
ტარიელივით სტირისა,
ის დღეს ჩვენც დაგვეხმარება,
კვნესა-მე მისი ჭირისა!

—

ვისაც გულს ცეცხლი უნთია
და განცდა ძალუძს ტკბობისა,
ვისაც აღმოფხვრა სწადიან
კაცთა შურის და მტრობისა,
მოდით, აღვმართოთ ტაძრები
გონებისა და გრძნობისა!

—

ვინც უყოყმანოდ შეიძენს
ბილეთებს ლატარიისას,
ვინც ხელოვნებით სულდგმულობს,
ვინც რომ წყაროს ჰსვამს იისას,
ის იგრძნობს განცდას უტკბილესს
უმწიკვლო პოეზისას!

—

ვისაც კი უყვარს აკვანი
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე-ბედზე
ზრუნავს და მისთვის სტირისა,
ის დღეს ჩვენს ბილეთს შეიძენს,
კვნესა-მე მისი ჭირისა!

(3—64—2)

დამოუკიდებლობის განმტკიცება

რამდენიმე ხნის წინ პარლამენტში, პარტიულ მიტინგებზე, თუ პრესაში ს.-დემოკრატები ყველა თავის სიტყვებს ათავებდნენ გაცვეთილი ტრაფარეტით საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის განმტკიცებაზე. უკანასკნელად ეს ანშლანგი ჩამოხსნეს ალბად იმიტომ, რომ დარწმუნდნენ, რომ ეს ტრაფარეტი ქართველ ნაციონალისტების წინააღმდეგ არ გამოდგებოდა და თუ აქამდე ამაზე ყვიროდნენ, ეს ნაჩვევი ინერციის ბრალი იყო.

მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობას ყველაზე უფრო სასტიკი და მავნე მტრები სწორედ ეხლა გამოუჩნდენ და არასდოს არ ჰქონია აზრი სიგნალის მიცემას, რომ დამოუკიდებლობა განსაცდელშია, როგორც დღეს.

ბოლშევიკების ბრბოები, რომელნიც უწინ იწვევდნენ საქართველოში ანარქიას, არ იყვნენ ისე საშიშნი რესპუბლიკისთვის, როგორც დღევანდელი დაშნაკელები.

ამ უკანასკნელთა ბრძოლის მეტოდები და ძალაც უფრო დამაფიქრებელია. დინამიტების დაგროვებას და აფეთქებას უწინ ადგილი არ ჰქონია და ამას გარდა ჩვენზე სამრათ მთელი სახელმწიფო ემზადება.

სომხების ალარმისტებმა დაიჯერეს, რომ ბიბლიური ლეგენდა ნამდვილად განმეორდება. წარღვნის შემდეგ მათი კიდობანი ხელმეორედ მიებჯინა არარატის მთას, მაგრამ სომხის მტრედები სამშვიდობო ზეთის ხილის მაგიერ ყუმბარებით მოდიან, მათ დიდი ხანია დააჯერეს თავიანთი თავი, რომ საქართველო მათი უდიდესი მტერია და უნდათ მოსპონ მისი თავისუფლება, ყოველი დღე, ყოველი ფაქტი ამას გვიმტკიცებს, ამაში გვაჯერებს.

საქართველოში კიდევ მოსახლეობენ ისეთი ერები, რომელნიც დანთებულ ცეცხლზე არ დაიზარებენ ხელის მოთბობას, ამაზე ამბობს რესპუბლიკის მოკლე წარსულის ისტორიაც.

დამბლად დაცემული რუსეთი ერკვევა მდგომარეობიდან, უცხო სახელმწიფოთა ელექტრონის ძალა ხან ერთ ნაწილს აამოძრავებს, ხან მეორეს სხვა და სხვა ადგილას.

და რენტგენის სხივით იხედება დადუმებული ნაღველი ძველი რუსეთის, რომელიც მოელის წარმოდგომას და შურისძიებას.

არც ერთი ახალი მთავრობა, რომელიც სხვა და სხვა ადგილას ამოდის რუსეთში სისხლის ნაწვიმარზე არ მალავს, რომ რუსეთის გაერთიანება და ჩამოშორებულ ხალხთა დაბრუნება პირველი საზრუნავი საგანია.

საქართველოშიც მოდიან ზოგიერთი ამ მთავრობის წარმომადგენლები და როგორც სირენები აღიზიანებენ იმ ხალხს, რომელნიც უწინ მიჩვეულნი იყვნენ რუსეთში ყვირილით მთელი ქვეყნისთვის ხმის გაგონებას.

მაგრამ ჩვენ გვგონია, პოლიტიკური რეციდივისტები რომ გამოჩნდენ კიდეც და მოინდომოს ძველი ცოდვების განმეორება, საქართველოს დემოკრატია ამის ნებას არ მისცემს.

ერთ ძალიან დაგვიანებულ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს კრებაზე თბილისში ი. წერეთელი ნაღვლიანად აღნიშნავდა, რომ ქართულ დემოკრატიულ მასაში ნაციონალიზმი თან და თან იდგამს ფესვებს. ბ. წერეთელს ეს ფაქტი სამწუხაროდ მიაჩნია. პატრიოტიზმის ზრდას იგი იმით ხსნის, რომ საქართველოს ბევრი მტერი გამოუჩნდა და ამათში ბევრი უწინდელი მეგობრებიც; ამ ხალხის ბრძოლამ გაამწარა საქართველოს დემოკრატია, იგი თანდათან ეშვება ნაციონალიზმში და თუ ასე გაგრძელდა მაშინ ამას ბ. წერეთლის აზრით საფრთხის ხასიათი მიეცემა.

უეჭველია საქართველოს მტრების კადნიერება და არა სინიდისიერი ბრძოლის ხერხები ამწვავებენ ეროვნულ გრძნობას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ქართულ მასაში ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ილვიძებს პატრიოტიზმი; ეს გრძნობა თანდათან გამაგრდება, ეს ორი საწინდარია ქართველი ერის სახელმწიფოებრივი მომავლის.

თუ ჯერ კიდევ ი. წერეთელს პატრიოტიზმი სამწუხაროდ მიაჩნია—ეს გაუგებრობაა, როგორიც გაუგებრობა იყო მთელი უწინდელი მისი მოქმედება; ფაქტების ლოგიკა და ქართველ ერის სასიცოცხლო ენერგიის გამოჩენა თანდათან დაარღვევს ძველ დოქტრინებს.

დღეს გერმანიაში რევოლუცია დაიწყო, უეჭველია ეს რევოლუცია მიიღებს სოციალურ რევოლუციის ხასიათს და რუსეთის კომუნისტების ზოგიერთი იმედები შეიძლება გამართლდენ, მაგრამ პატრიოტიზმის განათება ამით სრულიადაც არ დაიჩრდილება; პირიქით ამ ნიშნით წავა კიდეც მომავალი ყველა ერებისა.

ამიტომ არ უნდა ქართველ დემოკრატიის პატრიოტიზმს ჯანლება; ქართულმა დემოკრატიამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს მტრები არ დაელევა და მათი იერიშები ყველაზე უფრო სასტიკათ დღეს სწარმოებს.

ამიტომ სწორედ დღეს აქვს აზრი იმის განცხადებას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას უნდა დაცვა, ქართველმა ხალხმა საკმაოთ იგემა დამოუკიდებლობის სარგებლობა, რომ შესძლოს მისი დათმობა, და კონსულებსაც მართებთ მეტი ფხიზლობა...

უპატრონო გზა!

მე მოგახსენებთ საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზებზედ, ვინც მინისტრი არ ბრძანდება და საგანგებო ვაგონით და ორთქლმავლით არ მიმომოდის,—ვინც ჩვენსავით უბრალო მომაკვდავია და სხვა არაფერი, ის დამერწმუნება, რომ საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზას პატრონი არა ჰყავს, დამერწმუნება, რადგან იგი ძალაუნებურად ჩაყენებული იქნება ისეთ პირობებში, რომ საკუთარის თვალით დაინახავს თავის მოგზაურობის დროს იმ აზიურ უთავბოლობას და თავაშვებულ უწესოებას, რომელსაც ადგილი აქვს მთელი რკინის გზის გასწვრივ, და რომელსაც მთელი ეს საქმე და აუარებელი ქონება სრული აოხრებისკენ მიჰყავს.

დამერწმუნება კიდევ იმიტომ, რომ უბრალო მომაკვდავი იძულებულია, ფიზიკურადვე განიცადოს და იტკივოს ყველა ის შევიწროება და უხერხულობა, რომელსაც ჰქმნის ამ გზებზე გამეფებული უწესრიგობა და რომლის შემდეგაც ადამიანს სიკვდილივით ეზარება ხელმეორედ სადმე გამგზავრება.

მატარებელი უკვე სანახევროდ სავსეა, ვიდრე სადგურზე ჩამოაყენებდენ. ჩამოყენებულ მატარებელს აუარებელი ხალხი მიაწყდება და შესასვლელ კარებთან იმართება საშინელი ჰიდილი და მიწოლ-მოწოლა. შიგ შეაღწევს, ვინც უფრო ღონიერია და უტიფარი; ქალი ბავშვი და მორიდებული ხალხი განზე რჩება. ბევრია უბილეთო. ბილეთების და კლასების ხარისხი წარხოცილია. პირველ კლასის ვაგონები მესამე კლასიანებით, ხოლო უკეთეს შემთხვევაში მეორე კლასიანებით არის გავსებული. კორიდორებში და კუპეებში შემოაქვთ და აწყობენ ვეება ყუთებს, ჩემოდნებს და სხვა ბარგებს. ხალხი ჰყრია ამ ბარგებზე, კუპეები გაჭედილია მგზავრებით, რომელნიც ერთი მეორეზედ თევზებივით არიან მიწყობილნი. მუხლებამდე ნაგავი ჰყრია, ჰაერი მძიმეა.

ფანჯრები რაც ჩალეწილია, ხომ ჩალეწილია, რაც არა და, ისე შეთხუპნილი მტვრით, ტალახით და წუმპით, რომ გაუმჭვირვალი გადაქცეულა. ღამით სინათლე არ არის, არ არის უფრო იმიტომ, რომ ფანრის შუშები შემურულია და სრულიად გაუწმენდავი. ბრაზი და ბოღმა გულს მოგაწვება, როდესაც ჰხედავ, რომ კონდუქტორი, თუ ვიღაც მოსამსახურე მძიმე-მძიმედ, ზოზინით მაღლა აიწევა, მოკიდებულ სანთელს გადმოაბრუნებს შიგ ფანარში, რომ სანთელი დაადვენთოს და შემდეგ ამ ნადვენთზე თვით სანთელი დაამაგროს! შანდალი არ არის! ზანტი, ულაზათო ძირს ისე ჩამოვა ეს კონდუქტორი თუ რაღაც ჯანდაბაა, რომ არც კი ეცდება ფანრის შუშებს რაიმე მჩვარი გადაუსვას და ცოტათი მაინც გადააცილოს ზედმოდებული ტალახის სისქე. აზია, წყეული აზია! ასე ჰგონია სიცოცხლეც ეზარებაო, არ არის უფროსი, არ არის შიში, არ არის რიდი, და თავის ქეიფზე მიშვებული მოსამსახურე არაფერს დაგიდევს. მიდის, იხარჯება მილიონები, იხარჯება ჯამაგირათ და ამავე დროს უპასუხისმგებლო მოსამსახურენი და მგზავრთა შორის ყველაზედ მოურიდებელნი და თავაშვებულნი აპარტახებენ ამ ქონებას. გამკითხავი ვინ არის?! გვღუპავს რუსეთის სკოლა და აზიური ბუნება!

ფოთიდან თბილისამდე ხშირად ისე ჩამოდის მგზავრი, რომ ბილეთს ერთხელაც არ მოსთხოვენ. ორჯელ მე თვით მქონია ამის შემთხვევა. შიგნიდან კუპე-კორიდორებში, ხომ ყველაფერი ვერანდება, ეხლა ზემოდან ნახეთ; ეხლაც ამ სიცივეებში, დიდძალი ხალხი ვაგონების სახურავზე ადის და იქ გააქვთ დაუსრულებელი ბრახუნი; ხშირად ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ბუქნას უვლიანო.

ქუსლების რტყმევით იკეცება სახურავი, იხზარება და წვიმას ვაგონში ჩამოსაქცევი გზა ეძლევა. ვინ ფიქრობს ამაზე. ეს ქონება უპატრონოა, არავის არ ეკუთვნის, ვინ რას დაგიდევს?!

ამ ერთი კვირის წინად ქუთაისში წასვლა მომიხდა. მაშინ ძეგვის ხიდი ჯერ კიდევ არ იყო შეკეთებული.

ხიდი ქვეითად გადავედით და ჩავსხედით მომდგარ მატარებელში. მთელი ხუთი საათი ვიცადეთ სანამ, მატარებელი დაიძროდა. მგზავრებმა სულ ოც წუთში დაიჭირეს ადგილები და დალაგდნენ. მცირე ბაგაჟი იყო გადმოსაზიდი და ამას მთელი ოთხი საათი მოანდომეს. გვაკარგვინებენ დროს, იწვის აუარებელი შეშა ორთქლმავალში და არავინაა, რომ მუშები დააჩქაროს და ხუთი-ექვსი კაცის ტირანიისაგან იხსნას რამოდენიმე ასი მგზავრი!

ანარქია, ანარქიაა!

მომაგონდა მაკენზენის ჯარისგან დუნაიზედ განადგურებული ხიდი და ის თუ რა სწრაფად და დროს დაუკარგავათ, სულ რაღაც 30-40 წუთში, აუარებელი მგზავრები თავიანთ ბარგი-ბარხანებით ბორანის მატორიან ნავით გადვიდა ამ ვეებერთელა მდინარეზე და დალაგდა მოშორებით მდგარ მატარებელში და გზას გაუდგა! რა დიდი მანძილია ჩვენსა და მათ შორის! ნამდვილი წამება იწყება, თუ აქეთ მოდიხარ, სადგურ ხორაგოულიდან. ეს რამდენიმე თვეა, რაც უმაზუთობის გამო შეშით და ქვა-ნახშირით

დაგვყავსთ მატარებელი. საკმარისი დროა, რომ ჩვენი რკინის გზის უფროსობა შეწუხებოდა ამ ახალ გარემოებას და ასეთი თადარიგი დაეჭირა რომ საზოგადოებისთვის შეემსუბუქებია აუტანელი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელ პირობებში ხუთი-ექვსი საათობით ზედმეტი ლოდინი მატარებელში! ამგვარი ცდის ნიშან წყალიც არა სჩანს! ვის ედარდება საზოგადოება, ვის ენაღვლება მგზავრი! სადგურ მარილისზე სამ ნახევარი საათი ვიდექით. თუ აღმართზე ასასვლელად ზედმეტი ორთქლმავალია დასაბარებელი მახლობელ დიდ სადგურიდან, განა არ შეიძლება ამაზე წინასწარად იზრუნოს სათანადო მოსამსახურემ, რომ ხალხს ზედმეტი შევიწროება ააშოროს, ხოლო ხაზინას ზედმეტი ხარჯები?! მაგრამ ეს გზა უპატრონო გზაა! არც საზოგადოებაზე ზრუნავს არავინ და არც ამ დიდ სახალხო ქონებაზე. ვარწმუნებ ჩვენს მინისტრებს და კერძოდ გზათა მიმოსვლის მინისტრსაც რომ პერსონალურად არც ერთი მათგანი იმდენს ვერ შემატებს საქართველოს, ის ზარალი აუნაზღაუროს, რომელიც საქართველოს მოსდის რკინის გზისა და ვაგონების ამ ყოვლად უმზგავსო მოვლით და ექსპლოატაციით.

ჩვენ გვაკვირვებს ასეთი უყურადღებობა და უდარდელობა, როგორც სათანადო უწყებისა, აგრეთვე მთელი მთავრობის მხრივაც. ჩვენი რესპუბლიკის რკინის გზისადმი. რა უმწეობა და უსუსურობა უნდა მეფობდეს ამ წრეებში, რომ ამ ერთ მტკაველ რკინის გზაზე კაცმა დისციპლინა და წესი ვერ დაამყაროს!

სპ. კედია.

ნაადრევი სიხარული

რამდენიმე დღეში გერმანიაში 30-მდე გვირგვინი გადმოვარდა და ამდენივე ტახტი დაინგრა. დაიშალა საუკუნოებით აშენებული ავსტრიის იმპერიაც. ავსტრიელ გერმანელები კვალდაკვალ გაჰყვნენ რუსეთის რევოლიუციას. მათ არ იკმარეს პარლამენტარიზმი, რომლის შემოღების შემდგომ გვირგვინოსან იმპერატორს ვილჰელმს გაცილებით უფრო ნაკლები ძალა-უფლება რჩებოდა, ვიდრე ამერიკის უგვირგვინო კეისარს ვილსონსა და მის ვასალებს ლოიდ-ჯორჯსა და კლემანსოს. ტახტების დანგრევას მოჰყვა სოციალისტური მთავრობა, ხოლო მის გარშემო აშენდა ათასი საბჭო ჯარისკაცებისა დ მუშებისა, რომელნიც—ალბათ—მალე დაამხობენ შეიდემან-ებერტებს და დაამკვიდრებენ გლეხთა და მუშათა დიქტატურას.

ავსტრია-გერმანიის ამბები ძალიან გაუხარდათ ჩვენში ჩამოთესლებულ უცხოელებს—ზოგს შეგნებით და უმრავლესობას კი—შეუგნებლობით. ხოლო ჩვენზე მეტად „უხარიანთ“—ჯერ-ჯერობით მაინც-თვითონ ავსტრიელ-გერმანელების ერებს, მათზე უფრო მეტად—ინგლისსა და მის მოკავშირეებს, ხოლო მოსკოვშა სიხარულით ცას ეწევიან, დიდ გამარჯვებას ზეიმობენ და დათესილ ცეცხლის მოსამკალად ემზადებიან.

ერთი სიტყვით, მთელი ქვეყანა ხარობს და დღესასწაულობს. გაზეთები ულოცავენ მკითხველებს ზავსა და კაცთა შორის მუდმივი მშვიდობის დამყარებას. გარეგნულად ეს ამბავი თითქო მართალი უნდა იყოს. დროებითი მორიგება მოხდა. გერმანიამ უნდა დაუცალოს მოკავშირეებს დასავლეთის ციხეები, ელზას-ლორენი, რეინის მარცხენა ნაპირი, გადასცეს ფლოტი და რუსეთიდანაც უნდა გავიდეს. დროებითს მორიგებას ჩვეულებრივად ზავი მოსდევს. მაგრამ... ხშირად მომხდარა რომ ასეთს მორიგებას მოჰყოლია ბრძოლის გახურება.

პირადად მე, მართალი უნდა მოგახსენოთ, არა მწამს მშვიდობის დამყარება და ხალხის სიხარული ნაადრევად მიმაჩნია. მე მგონია რომ ევროპა ვაის გაეყარა და ვუის შეეყარა. მას ახალი ცეცხლი ედება, რომელიც მოსკოვში ანთია. ტყუილი ნუგეშია, ვითომ გერმანელებს სხვა სისხლი ჰქონდეთ და სულ სხვა ფსიხოლოგიურ კანონებს ემორჩილებოდნენ. მას ვერც შეგნება და განათლება უშველის, ვერც ფრიად განვითარებული მრეწველობა. უკანასკნელი გარემოება, პირიქით ხელს უწყობს ბოლშევიკურ სენის გავრცელებას. ჩვენ მალე ვნახავთ შეიდემანს კერენსკის ტაფაში, ხოლო ლიბკნეხტს ლენინის გვერდში.

ჯერ-ჯერობით ავსტრია-გერმანიაში ზედმიწევნით იმეორებენ რუსეთის ისტორიას და ერთხელ კიდევ ამტკიცებენ, რომ ისტორია არავის არაფერს ასწავლის. არ ვიცი, რათ უნდა შეჩერდეს ეს ისტორია შუა გზაზე თუ მის განვითარებას ყველაფერი ხელს უწყობს: რამდენიმე მილიონი მუშა ქალაქებში, არევ-დარევა ტრანსპორტისა, საერთო გაფიცვები, შემცირება საკვებავისა, ხიშტებზე დაყრდნობილი საბჭოები, გაჩერებული ქარხნები და... ახალი ბრესტი: სრული დამორჩილება და კაპიტულიაცია წინაშე მოპირდაპირისა. თუ ეს ზავი ბრესტზე გაცილებით უარესი მართლა მოსპობს დასავლეთის ფრონტს, სამაგიეროდ გაჩნდება შინაური ფრონტი ყოველ ქალაქსა და სოფელში. ავსტრია-ჰუნგრეთი უკვე ალშია გახვეული.

ცხადია, რომ ამ ჟამად უკვე იჭედება და მალე მოგვევლინება გერმანულ-რუსული კავშირი, რომელიც ადვილად შეჰკრავს შუა ევროპას: უკრაინას, პოლონეთს, ავსტრიას. ვინ აღუდგება წინ ასეთს მოძრაობას? ვინ შესძლებს ახალ კომბინაციების ჩაშლას? ამ საერთო ბოლშევიკურ ცეცხლის ჩაქრობას ვინ იცის რამდენი მილიონი სალდათი დასჭირდება. ესეც რომ არ იყოს, ეს სენი დღეს თუ ხვალ შეიძლება იტალია-საფრანგეთსაც მოედოს. ცეცხლი ცეცხლს აჩენს და ჭირი ჭირსა. უკრაინაში ავსტრიელ-გერმანელ სალდათების ბოლშევიზმმა უცებ გამოყო თავი. მაგრამ ალბათ ვილსონს, ლოიდ-ჯორჯსა და კლემანსოს ჰგონიათ, რომ მათ ხალხს სულ სხვა სისხლი უჩქეფთ ძარღვებში.

მწარედ შესცდებიან და ბევრსაც ინანებენ, როცა საკუთარის თვალით დაინახავენ ძველს ევროპას და თავიანთ სამშობლოსაც დანგრეულს, გაველურებულს, გალატაკებულს, გალატაკებულსა და ცეცხლის ალში გახვეულს. მაშინ გვიანღა იქნება თითზე კბენანი და გლოვა დაღუპულ ცივილიზაციისა.

უიმედო რაციონალისტები ყოველთვის ბრმები და ყრუნი იყვნენ, მთელი მათი იმედი დამყარებულია ხალხთა გონიერებაზე. იმათ ეხლაც ვერ გაიგეს ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ისტორიას ჰქმნის და კაცობრიობას ამოძრავებს უხილავი ალღო და ცხოველური ინსტინქტი, და არა მარტო უმწეო, უძლური გონება და „შეგნება“.

ხოლო ეს ალღო ვერასოდეს ვერ შეურიგდება გერმანიის ფლოტის გაცემას და ნამდვილ გერმანულ რეინის მარცხენა ნაპირის დათმობას. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროშას ცეცხლის ასოებით ეწერა „ძმობა და თავისუფლება“, მაგრამ მთელი საფრანგეთი 25 წლის განმავლობაში ამ დროშის ქვეშ დასეირნობდა მთელს ევროპაში და მოსკოვსა, სირიას და ეგვიპტესაც კი წაეპოტინა. რუსეთი და გერმანიაც სოციალისტურ დროშის ქვეშ კიდევ ბევრ სისხლს დაღვრიან და მრავალჯერ გაუკრთობენ ძილს ისედაც დაქანცულ კაცობრიობას. შეიძლება გადავაჭარბო, მაგრამ მაინც ვიტყვი: ომი იქნებ ეხლა იწყება. მაგრამ თუ იგი ეხლა შესწყდა, ეხლანდელი თაობა მის განახლებას მაინც მოესწრება.

მ. ადამაშვილი.

პრესსა

საქართველოს ს.-დემოკრატიული პარტიის დაარსება.

გაზეთი „ერთობა“ ეხება ს.-დემოკრატიულ პარტიის მერვე ყრილობის დადგენილებას, რომ დაარსდეს საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტია ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის მაგიერ. გაზეთი ეკამათება იმ თავის თანამოაზრეთ, რომელნიც წინააღმდეგები იყვნენ გამოყოფის და სწერს:

> სოციალ-დემოკრატიული პარტია შეგნებულ პროლეტარიატის შემწეობით ხელმძღვანელობას უწევს მთელს დემოკრატიას, ის იძულებულია პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული საქმე აკეთოს. ამიტომ, სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია დროს და ადგილის გარეშე იდგეს, ის მოქმედებს განსაზღვრულ კონკრეტულ პირობებში. ასეთია კაპიტალისტურ წარმოების ხანაში სახელმწიფო. და როგორც ვიცით ჯერ-ჯერობით ქვეყნად არ არსებობს სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ორგანიზაციულად აერთებდეს რამდენიმე სახელმწიფოს პროლეტარიატს. ერთი სახელმწიფო ერთი სოციალ-დემოკრატია ასეთია სინამდვილე. რასაკვირველია, მხოლოდ ლენინს მოუვიდა ჭკუაში გადაელახა ყოველგვარი საზღვრები; ის მიმართავდა მთელი ქვეყნის პროლეტარიატს, მაგრამ რა ნაყოფი გამოიღო ამან რუსეთისათვის, ეს ჩვენ ვიცით.

ჩვენ ძალიან გვახარებს, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ როგორც იქნა მოიცილა ძველი ეტიკეტი, რომლის მოხსნაზე ამდენხანს ჯიუტობდა და ჭირვეულობდა.

⁂

მენშევიკები და რუსეთის აღორძინება.

რუსეთიდან ჩამოსულ დელეგატების მისია მიზანს აღწევს კიდეც. რუსეთი ხელმეორეთ ხდება მენშევიკების მოღვაწეობის ასპარეზათ და საქართველოს დამოუკიდებლობას თანდათან ჩრდილი აწვება. ს.-დ. საოლქო კომიტეტის ორგანო „ბორბა“ ეხება „ზნამია ნაროდა“-ს წერილს, რომელშიაც შემდეგი სწერია:

„დროა საქართველოს დემოკრატიის იდეური კავშირი რუსეთის დემოკრატიასთან თეორეტიულ მსჯელობიდან გადავიდეს პრაქტიკულ მსჯელობის სფეროში.

ეს უფრო საჭიროა ეხლა, როცა ბევრ პირობათა გამო როგორც საშინაო, ისე საგარეო ცხოვრებაში, რუსეთის დემოკრატიის ბრძოლა არა თუ გაჭიანურდა, არამედ შეიძლება სულაც შესწყდეს; ერთი მხრივ ბოლშევიზმის გამაგრების გამო და მეორე მხრივ იმის გამო, რომ მთელი რუსეთის კონტრ-რევოლუციონური ძალები კადეტებითურთ ახალ მთავრობას ადგენენ.

შემცდარი იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ საქართველოს მონაწილეობა რუსეთის ერობის და ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობაზე რაიმე ზიანს მოუტანდა საქართველოს დემოკრატიას, რადგან ეს სრულიადაც არ ნიშნავს საქართველოს პოლიტიკის შეცვლას, და არაფრით არ შებორკავს მას.

საქართველოს მონაწილეობა, ასე როგორც სხვა ჩამოცილებულ რუსეთის მხარეებისა ამ ყრილობაზე ასეთ პირობებში იქნებოდა მხოლოდ მორალური დახმარება ბრძოლაში გამწარებული რუსეთის დემოკრატიის და მისცემდა დიდ სტიმულს იმ ბრძოლას, რომელიც რუსეთის რევოლუციის აღორძინებისთვის სწარმოებს“.

ამ ამონაწერს „ბორბა“ დასძენს:

„ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ამნაირ მდგომარეობის შეფასებას. ჩვენ გვგონია რომ საქართველოს დემოკრატია უნდა გამოეხმაუროს რუსეთი წარმოებულ ბრძოლას, რომლის შედეგებით ის უაღრესათ დაინტერესებულია. თუ საქართველოს დემოკრატიის ხმა მომავალ ყრილობაზე თუნდა მცირე დახმარებას გაუწევს რუსეთის დემოკრატიის აღორძინებას—ეს ხმა უთუოდ უნდა გაისმას.

ჩვენ გვგონია ასე შეხედვენ დაყენებულ საკითხს საქართველოს ქალაქების და ერობის წარმომადგენელნი“.

გაზეთ „ბორბას“ უკვე დაჰკრა საღამოს სხივმა, ის ახლა აღარ ედავება ძველებურათ „ზნამია ნაროდას“ და მათ საერთო ენა მონახეს.

რუსეთის რევოლიუციის შტატ-გარეშე დატოვებული რევოლიუციონური მომღერლები კიდევ ემზადებიან სცენაზე გამოსვლისათვის, მაგრამ მათი გამოსვლა ველარ იქნება ძველებურათ ეფექტიანი.

რომელ დემოკრატიის აღორძინებაზე ლაპარაკობენ ეს გაზეთები? რუსეთის დემოკრატია აღორძინდა და გამარჯვებას დღესასწაულობს ბოლშევიკების სახით. იმათთან ეს ხალხი ვერ მონახავს საერთო ენას. ხოლო რაც შეეხება რუსეთის მენშევიკების აღორძინებას, ეს უიმედო ამბავია. ეკატერინოდარის ყრილობა ვერაფერს ვერ გააერთიანებს, მხოლოდ ერთხელ კიდევ დაინახავს თავის უღონობას. მაგრამ დასამახსოვრებელია, რომ მენშევიკები უკვე მზად არიან უღალატონ საქართველოს დამოუკიდებლობას და საქართველოს საქმეებში ჩარიონ უცხო ხალხი. დაიწყებას მიეცა ის კამპანია თბილისში დარჩენილი რუსი მენშევიკები და ესერებისა საქართველოს წინააღმდეგ.

მაგრამ ეს ალბად იმის ბრალია, რომ მენშევიკების ლერწმის ტანიანმა ლიდერმა იგრძნო ახალი ქარის ჰქროლა ჩრდილოეთიდან და „ბორბა“-მაც ამიტომ შესცვალა ფრონტი...

მთავრობის წრეებში

იუსტიციის სამინისტროში.

საპყრობილეთა დაცვის გაძლიერება.

იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა საპყრობილეთა ინსპექტორს უსასტიკესი ზომები იქმნას მიღებული საპყრობილეში წესიერების დასამყარებლად და საპყრობილეთა დაცვის გასაძლიერებლად, ამავე დროს სამინისტრომ სთხოვა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, რათა ციხეების დასაცავად გაგზავნილ იქმნას განსაკუთრებული რიცხვი სახალხო გვარდიელთა. ეთხოვა აგრეთვე თბილისის გენერალ-გუბერნატორს დაცვის გაძლიერება საპყრობილეთა რაიონებში.

2. რედაქტორების სამართალში მიცემა

იუსტიციის მინისტრმა მ. ალექსი მესხიშვილმა წინადადება მისცა თბილისის ოლქის სასამართლოს პროკურორს, რათა დაუყონებლივ იქმნან სასამართლოში მიცემული იმ ბეჭდვითი ორგანოების რედაქტორები, საცა მოთავსებული იყო ყალბი ცნობები მთავრობის საქმიანობის შესახებ, განსაკუთრებით ლტოლვილთა საკითხის გამო.

განქორწინების პროექტი

იუსტიციის სამინისტრომ მიიღო მთავრობისაგან განქორწინების პროექტი, წარდგენილი მთავრობისთვის საკათოლიკოსო საბჭოს მიერ. ეს პროექტი კარგა ხანია რაც შემუშავდა საკათოლიკოში სასამართლოს ინიციატივით უკანასკნელის წევრის გ. ღ. ყორდანიას მიერ. შემდეგ პროექტი განხილულ იქმნა საკატოლიკოზო საბჭოს და სასამართლოს შეერთებულს სხდომაზე. სადაც განხილულ იქმნა პარალელურად ზემოხსენებელი პროექტი გ. ყორდანიასი, საკათოლიკოზო სასამართლოს მიერ დადასტურებული და აგრეთვე პროექტი საბჭოს წევრის და სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის დეკ. კორნ. კეკელიძისა. ორივ პროექტი შეთანხმებულ იქმნა და წარედგინა მთავრობას. მთავრობის დადგენილებით პროექტს განიხილავს საუწყებითაშორისო კომისია იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროების და საკათოლიკოზოს წარმომადგენელთაგან, რის შემდეგ პროექტი წარედგინება მთავრობას დ პარლამენტს.

საკოდიფიკაციო განყოფილებაში

საკოდიფიკაციო განყოფილების საქმის მწარმოებლად დაინიშნა კერძო ვექილი არტემ ახნაზაროვი, კორექტორად—ი. მამულაშვილი-გრიშაშვილი, ექსპედიტორად—ა. სიხარულიძე.

საპყრობილეთა ინსპექტორის ბინის გადატანა

საპყრობილეთა ინსპექცია იუსტიციის მინისტრის ამხანაგის გრ. ივ. გველესიანის განკარგულებით ამ დღეებში გადავა იუსტიციის სამინისტროს ბინაზე, სასამართლო უწყების დაწესებულებათა შენობაში.

ქვეშევრდომობის კანონი

ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ გამოუგზავნა იუსტიციის მინისტრს საქართველოს ქვეშევრდომობის ახალ კანონის პროექტი. პროექტს წინასწარ განიხილავს იუსტიციიის სამინისტროსთან არსებული საიურისკონსულტო ნაწილი.

საგანგებო საქმეთა გამომძიებელნი

თბილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელთა თანამდებობაზე დატოვებულ იქმნენ გ. ო. ჯომარჯიძე და ბ. დ. რუსანოვი.

საქართველოს იურიდიულ საზოგადოების გამგეობის კრება დანიშნულია შაბათს, გიორგობისთვის 16-ს, იუსტიციის სამინისტროში, საღამოს 7 საათზე.

ცენტრალურ სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარემ მოხსენება წარადგინა მთავრობაში თავად-აზნაურთა ყოფილ ქონების დაწესებულებათა შორის განაწილების შესახებ. მოხსენება მიღებულ იქმნა ცოტაოდენი ცვლილებებით.

12 გიორგობისთვის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: გაეხსნას თბილისის სახაზინო პალატას მის დაქვემდებარებულ ხაზინების მოხელეთათვის გარდა თბილისისა 4 პროც. საჩუქრის მისაცემად 9523 მ. კრედიტი. 10 მილიონიან ფონდიდან.

ქრონიკა

ინგლისის მისია თბილისში. ხუთშაბათს დილის 11 საათზე ბათომით თბილისში ჩამოვიდა ინგლისის დიპლომატიური მისია ხუთი კაცისაგან შემდგარი.

✦ **გ. გვაზავას ჩამოსვლა.** სტამბოლიდან თბილისში ჩამოვიდა ოსმალეთში მყოფ საქართველოს საზავო დელეგაციის და საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი გვაზავა.

ქართველების დაბრუნება ბაქოდან. საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის მოძრაობის უფროსმა აბელაშვილმა განკარგულება მოახდინა სწრაფად გაიგზავნოს ბაქოში 30 დახურული ვაგონი ბაქოდან ქართველების დასაბრუნებლად.

✦ **დახმარება მოქანდაკე ნიკოლაძეს.** მთავრობამ დაადგინა მიეცეს მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს მისი 20 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად უფასოდ მომარაგების კომიტეტიდან ატელიეს შენობის ასაგები მასალა, რომელიც მიწადმოქმედების მინისტრის მოხსენებასთან დართულ სიაშია აღნიშნული.

✦ **სასწავლებლებში.** ქალაქის სასწავლებელთა საბჭო ქალაქის დასაწყისი სასწავლებლების სახელების შეცვლას შეუდგა.

✦ **ალექსანდრეს ბაღი.** ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ალექსანდრეს ზემო ბაღი, რომელიც განსაზღვრული იყო ბავშვებისათვის, ამიერიდან იყოს ღია საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ **ლოტო.** ქალთა საზოგადოებას ქალაქის გამგეობამ არ მისცა ნება რუსის კლუბში ღვინობისთვის 15 და 23 ლოტოს თამაშობა გამართოს.

✦ **მკვლელობა.** 13 გიორგობისთვეს ელისაბედის ქუჩაზე მოჰკლეს მეორე ცხენოსან პოლკის პოდპორუჩიკი ვ. ბერიძე.

✦ **ახალი ჟურნალი.** კვირას 17 გიორგობისთვეს გამოვა ახალი პოლიტიკური, სალიტერატურო და სამხატვრო ჟურნალი „ჯარი და ერი“.

✦ **ქ. დევდარიანის გარდაცვალება.** სვანეთში მცირე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი პარტიული ამხანაგი კოწია დევდარიანი.

✦ **ქუთათური მიტროპოლიტი ნაზარი.** დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, სიონის საკათედრო ტაძარში მოხდება სახელწოდება ქუთათურ მიტროპოლიტ ნაზარისა; ხელდასმა კი მოხდება კვირას 17 გიორგობისთვეს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში.

✦ **ამიერ-კავკასიის ერთა კონფერენცია.** ხუთშაბათს 14 გიორგობისთვეს, ე. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით შესდგა კრება კავკასიის ერთა წარმომადგენელთა. კრებაზე მხედველობაში მიიღეს სომხეთის წარმომადგენელთა გამოუცხადებლობა. დაადგინეს ამიერ-კავკასიის ერთა კონფერენცია გაიხსნას 20 გიორგობისთვეს იმ შემთხვევაშიაც კი თუ სომხეთის წარმომადგენლები არ გამოცხადდებიან.

✦ პოდპ. ევსევი ჩიქვანია თებერვალში იმყოფებოდა ქ. ოდესაში. მას შემდეგ არაფერი ვიცით. თუ ვინმემ იცის მისი ამბავი, გთხოვთ გვაცნობოთ თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, რედაქცია „ალიონი“ თომა ჩიქვანიას.

✦ **ბინა ინგლისის დელეგაციას** ქალაქის კომისარმა წინადადება მისცა რუსთა ეროვნულ საბჭოს, ყოფილ სასტუმრო „ლონდონ“-ში. 5 ოთახი ინგლის-საფრანგეთის მისიას მიუჩინოს.

✦ **ქურდობა.** 15 გიორგობისთვეს ღამით ბოროტმოქმედებმა გასტეხეს სამანუფაქტურო მაღაზია პერსიან ბარუხა-იბრაგიმოვისა. წაიღეს სხვა და სხვა საქონელი 60,000 მან.

✦ **ძარცვა.** ღამე 14 გიორგობისთვეს 6 შეიარაღებული პირნი შეიჭრენ. კატლივერის ქუჩაზე. არაღოვის სახლში და წაიღეს სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები. 90.000 მან. ბოროტ გამხრახველთ დაედევნენ სახალხო გვარდიელნი. სროლის დროს დაიჭრა ერთი გვარდიელი ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

✦ **რევიზია სასწავლებლებში.** სახელმწიფო სასწავლებელთა ზოგმა დირექტორებმა უკვე დაამთავრეს თავიანთ სასწავლებლების რევიზია, რის შესახებაც მოხსენება შეიტანეს სახალხო განათლების სამინისტროში.

✦ **ტყვეების შუამდგომლობა.** თბილისის საგუბერნიო სატუსაღოს გამოძიების ქვეშ მყოფმა ტყვეებმა რიცხვით 196 კაცმა წერილობით მიმართეს პარლამენტის თავმჯდომარეს ჩხეიძეს, ნება მისცენ მათ ან საგანგებო რაზმი შეადგინონ, ან და მიაწერონ ისინი ჯარის სხვა და სხვა ნაწილებს, რათა მათ შეძლება ექნეთ ახალგაზდა რესპუბლიკას ემსახურონ.

✦ **არტაანის ლტოლვილები.** რუსთა ეროვნულ საბჭომ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე დაუბრკოლებლივ გაშვებულ იქმნას კავკავში ის 160 არტაანის ოლქის ლტოლვილნი, რომელნიც წალკით კავკავში მიდიან 25 ფურგუნით.

✦ **საქ. რკინის გზათა უფროსის განკარგულება.** საქართველოს რკინის გზათა უფროსის განკარგულებაში მყოფი ყველა საქონელი, რომელიც ნატანებში იგზავნება [illegible]რთველობის სახელზე, ამიერიდან საქონლის გამცვლელ კომიტეტის უნებართვოთ მიიღება.

✦ **კრება.** კვირას, 17 გიორგობისთვეს 11 საათზედ ახალ კლუბის დარბაზში დანიშნულია დამოუკიდებელთა კავშირის წევრთა საზოგადო კრება, დღიური წესრიგი: კავშირის დებულებათა ახალ პროექტის განხილვა; 2) მიმდინარე საკითხები, და 3) საბჭოს წევრთა არჩევნები.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილების ლექტორთა კოლეგია** თხოვნით მიმართავს წევრებს და აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც ქართულად ლექციების კითხვის სურვილი აქვს (განსაკუთრებით გეოგრაფიასა და უფლების მეტყველებაში)—დღეს, 16 გიორგობისთვეს, სრულ 6 ს. გამოცხადდნენ უნივერსიტეტის ცენტრალ შენობაში (მიხაილის პრ. სახლი № 91) ფრიად მნიშვნელოვა საკითხების გასარჩევად.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ წერილში: „**ნიკო ნიკოლაძე და სპირიდონ კედია ქუთაისში**“ შემდეგი სამწუხარო შეცდომებია: სპირიდონ კედიის სიტყვებში სწერია: „მოუწოდა ქართველებს ერთ სხეულად და **ორგანებად** დაუხვდეს ყოველ მტერს“. უნდა იყოს: ერთ სხეულად და **ორგანიზმად**.

შემდეგ: დამფუძნებელმა კრებამ უნდა გამოამჟღავნოს ეს ჩვენი პოტენტიური ენერგია და საქართველოს მისცეს უფრო მედგარი და სინამდვილესთან შეწონილი პარლამენტი და **მუშაობაო**; უნდა იყოს: პარლამენტი და მთავრობაო.

შემდეგ სწერია: აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი კრების დარბაზში, დიდძალი ხალხი **ტალახში** იყო. უნდა იყოს: **ტალანში** იყო.

ძეგვის ხიდი

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის მოძრაობის უფროსმა აბელაშვილმა განკარგულება მოახდინა, რათა საფოსტო მატარებლებმა № 3 და № 4 თბილისიდან ფოთამდე ხიდას სრულიად შეკეთების გამო იარონ იმ დროთი, რომელიც უკვე იყო შემუშავებული ხიდის დაზიანებამდე.

— რკინის გზათა უფროსის თანაშემწემ ინჟ. კენგემ განკარგულება მოახდინა ლიანდაგზე, რომ ძეგვის დაზიანებულ საბოლოო შეკეთების გამო საქართველოს რკინის გზები მეზობელ რკინის გზებისაგან უკვე იღებენ ყოველგვარ საქონელს, როგორც სწრაფს, ისე მცირე მოძრაობისას მცხეთა-ქსნის მიმართულებით.

ნავთის საკითხი.

საქართველოში მოსული ნავთის განაწილების წესის შესახებ მთავრობამ დაადგინა.

ნავთის განაწილება მიენდოს სათათბიროს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან;

ნავთი ბაქოდან უნდა მოდიოდეს შემდეგი მისამართით: ნავთსაყვანი საქართველოს რკინის გზისა, თბილისი,—აღნიშვნით, თუ ვისთვის არის გამოგზავნილი ნავთი;

ყოველ ცისტერნის მოსვლას უწყებული ნავთსაყვანის მმართველობა უნდა აცნობებდეს ტელეფონით ვაჭრობა-მრეწველობის განყოფილებას;

ნავთის განაწილება უნდა სწარმოებდეს სათბობ სათათბიროს მიერ ყოველ დღით შემუშავებული პლანით;

ყველა, ვისაც ნავთი ეჭირვება: რკინის გზები, ფლოტი, პორტები, დაწესებულებანი და სხვ.,—ყველა ვალდებულია აცნობოს მრეწველობის განყოფილებას თვიური მინიმალური ნავთის მოთხოვნილება.

ნავთი და ბენზინი. გზათა სამინისტროს საექსპლოატაციო ნაწილის უფროსი ტოლსტონოგოვი, რომელიც ამ ჟამად ბაქოში იმყოფება, გზათა მინისტრის პირდაპირი მავთულით ატყობინებს: ადერბეიჯანის მთავრობამ წინადადება მოგვცა შევისყიდოთ ბაქოში 50,000 ფუთი ბენზინი, ფუთი 100 მანეთად თბილისში გადმოტანით, იმ პირობით კი, რომ მათ უფლება მიეცათ 50,000 ფუთი ბენზინის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გასასყიდათ შემოტანისა. ჩვენმა წარმომადგენელთა საბჭომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სამისო ჭურჭელი არ მოგვეპოება და არც მისი შემოტანა შეგვიძლია ზღვით, ამიტომ საჭიროდ დავინახეთ შევეკითხოთ ჩვენს მთავრობას. გარდა ამისა, წინადადებას გვაძლევენ 50,000 ფუთი ნავთის შეძ-

ნისათვის ფუთს 40 მანეთობაზე საქართველოდან მისი ექსპორტის უფლებით. წინათ განსაზღვრულ ჩვენთვის კუთვნილ ნავთს გადმოსაზიდად, გთხოვთ დაუყონებლივ გამოგზავნოთ ორი მატარებელი. გუშინ საქართველოში გამოვგზავნეთ 57 ცისტერნი,—მათში 16 ცისტერნი ნავთია. ჩვენი წარმომადგენელი ქარცივაძე გთხოვთ გამოგზავნოთ დახურული ვაგონები აქაური ქართველთა სამშობლოში წამოსასვლელათ, რომელთა მდგომარეობა აქ ფრიად მძიმეა.

რევოლუცია გერმანიაში

გერმანიის ახალი მთავრობა

რევოლუცია გერმანიაში. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი პირდაპირ მავთულით ესაუბრა ოსკარ გონს გერმანიის ჯარების შესახებ. საუბარიდან შემდეგი გამოირკვა: ახალი მთავრობა შესდგა დამოუკიდებელთა და შეიდემანელთა შეთანხმებით. კაბინეტში თანასწორი უფლებით შედის 6 კაცი. მთავრობაში დამოუკიდებელთა მხრით, შედის ჰაზე, დიტმანი და ბარტი. შეიდემანელთა მხრით: ებერტი ლანბერგი და შეიდემანი.

ბარტი

მოსკოვი. ბერლინის საბჭოს თავმჯდომარედ აქამდე ბარტი იყო. სპარტაკის ჯგუფი მთავრობაში არ მონაწილეობს.

ყრილობა

მოკლე ხანში შესდგება სრულიად გერმანიის საბჭოს ყრილობა.

სპარტაკის ჯგუფი

სპარტაკის ჯგუფმა გამოსცა გაზეთი „წითელი დროშა“, მთავარ შტაბმა სცნო საბჭოები.

ჯარი

გერმანიის ჯარი სტოვებს დაპყრობილ ადგილებს.

მოკავშირეთა მოთხოვნა

მოკავშირეთა სახელმწიფონი მოითხოვენ გერმანიიდგან 5000 ორთქმავალს, 150000 ვაგონს. 10000 ავტომობილს და დაჭერილ ადგილებში მათი ჯარის სურსათით დაკმაყოფილებას მოკავშირეთა ფლოტის კატეგარში თავისუფლად გაშვებას.

რუმინეთი და გერმანია

რუმინიამ გერმანიას ომი გამოუცხადა.

დამოუკიდებელნი და რუსეთი

დამოუკიდებლნი ითხოვენ იოფეს დაბრუნებას ბერლინში, რუსის სამხედრო ტყვეების სამშობლოში გასაგზავნათ ზომებია მიღებული. დამოუკიდებელთა და შეიდემანელთა შეთანხმების პირობა შემდეგია: 1) პოლიტიკური ძალა-უფლება საბჭოთა ხელში უნდა იყოს, 2) რევოლიუციის მიზანია დამფუძნებელ კრების მოუწვევლად შესდგეს გერმანიის სოციალისტური რესპუბლიკა. შესაძლებელია. რომ ბურჟუაზიასთან შეთანხმება არ მოხდეს. კაბანეტში მყოფ ყველა არა სოციალისტ მინისტრთან ერთადმუშაობს ორი პოლიტიკური კომისარი. ბერლინში მიემგზავრება ზინოვიევი, რადეკი და პეტროვსკი. ყოველ დღე საღამოს 3 სიათზე ჩიჩერინი პირდაპირ მავთულით ლაპარაკობს ლენინთან.

საბჭოები ბრძოლის ასპარეზზედ

ნოუენი, 12 გიორგობისთვე. ამბურგის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებს ცნობა მოუვიდა, რომ ასპარეზზედ დაარსდა საბჭოები. ჯარისკაცთა საბჭოს კავშირი ექნება ფელდმარშალ ჰინდენბურგთან. რომელსაც წარუდგენენ თავის მოთხოვნილებას.

სოციალისტურ რესპუბლიკისათვის.

შესდგა კულტურულ მომუშავეთა საბჭო. საბჭოს მიზანია სოციალისტურ რესპუბლიკის დაარსება.

სამხედრო საბჭოს მობილიზაცია

გერმანიის პრესა იუწყება სამხედრო საბჭოს მობილიზაცია ხდება.

შეიდემანი ლოიდ-ჯორჯის სიტყვაზე

ლოიდ-ჯორჯის უკანასკნელ სიტყვის გამო გერმანიის ახალი მთავრობის წევრმა შეიდემანმა სთქვა: „ლოიდ-ჯორჯი ამყარებს თავის ტრიუმფს გერმანიის უმწეო მდგომარეობაზე. მას სურს გერმანიის ხალხის სრული განადგურება, რადგან გერმანიის ხალხი, მისი აზრით, პასუხის მგებელია თავის ძველი მთავრობის მაგიერ. მასთან ერთად ლოიდ-ჯორჯი ქებით იხსენიებს ინგლისის ხალხის და ბრიტანიის იმპერიის ერთსულოვნებას, რომელიც მისი აზრით, მხარს უჭერს თავის მთავრობის სამხედრო პოლიტიკას. ორივე მოსაზრება სიმართლეს მოკლებულია ლოიდ-ჯორჯმა კარგათ იცის, რომ გერმანიის ხალხის მასა და ძველი მთავრობის უმეტესობაც არა თუ უკმაყოფილო იყო ჯარის უფროსთა პრინციპებით, არამედ ძალიან ხშირად, აშკარად ილაშქრებდნენ მის წინააღდეგ ლოიდ-ჯორჯმა ისიც იცის, რომ ინგლისში არა არსებობს მთლიანობა და ერთსულოვნება ინგლისის ხალხში, ჯარში და ფლოტში არის ის კონტრასტი, რომელიც გერმანიის უფროსებისა და ხალხის შორის არსებობს გაძლიერებას პოლიტიკაში... (შემდეგი დამახინჯებულია). კაპიტალიზმს და ნაციის, რომელიც ცუდ მდგომარეობაშია იმის გამო, რომ ის აიძულეს ებრძოლოს მოძმე ერებს, მით უფრო, რომ ინგლისში ჯერ კიდევ სცოცხლობს იმის მოგონება, როცა მოქალაქობრივი თავისუფლება არ გამხდარა მილიტარიზმის მსხვერპლი. მან დაუფარავად აღიარა, რომ ზავის ჩამოგდება, რომელიც გერმანიის ხალხს ჰსურდა, განგებ დააგვიანა იმიტომ, რომ გერმანიის წესწყობილება დაენგრია

გერმანიის ხალხმა ამ დიად დროში უნდა დაუმტკიცოს ლოიდ-ჯორჯს, რომ მის მიერ მიღებული წყობილება შეეფერება ამ საშინელ მოთხოვნილებას. მთელი ქვეყნის განთავისუფლების დროს ინგლისის და მის მოკავშირე ხალხმა უნდა გასწყვიტოს ყოველგვარი კავშირი თავის იმპერიალისტურ მთავრობასთან.

საზავო პირობათა შემსუბუქება.

შემუშავებული დროებითი ზავის პირობები, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია მთელის ტექსტით და შეიცავს 35 პუნქტს გერმანიის პრესა უკმაყოფილოა. „ბერლინერ-ტაგებლატი ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ არაფერი არ თქმულა იმის შესახებ, რომელიც გერმანიის ხალხს სურდა აეცდინა თავიდან. უცხოეთის ჯარის სურსათით დაკმაყოფილების მოვალეობა და რკინის გზის მასალის გადადების შესახებ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მოთხოვნილებას მოხსნიან და შესაძლებელია პირობათა შემსუბუქება და კომპრომისი. „ბერლინერ-ლოკალ-ანცეიგერი“ მსჯელობს 5,000 ლოკომოტივის და 150,000 საბარგო ვაგონის გადაცემის შესახებ და უკავშირებს მას გერმანიის ვალდებულებას დააბრუნოს თავიანთ სახლში მრავალ მილიონიანი ჯარი, რომელიც აგრეთვე რუმინიაში და რუსეთშია გაბნეული.

ამ ვალდებულობის შესრულება, ამბობს გაზეთი, შეუძლებელი იქნება, თუ ჩვენ არ გვექნა ჯარის მადაყვან-გადმოყვანის საშუალება. 14 დღის განმავლობაში ჩვენ უნდა გადავცეთ მტერს მანქანების და ვაგონების მეხუთედი ნაწილი. სურსათის მხრივ ჩვენი ხალხის მდგომარეობა საეჭვოა. ქალაქის მცხოვრებნი, რომელნიც სურსათს სოფლებიდან მოელის, საშიშ მდგომარეობაში ვარდება. ასეთი პირობების წამოყენება შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც სურს წინასწარ გადასწყდეს ერთ იმ საკითხთაგანი, რომელიც საზავო მოლაპარაკების დროს უნდა გადაწყვეტილიყო. გერმანიის მრეწველობას ეს მოვლენა დიდი ხნით ასუსტებს და ძირს უთხრის და აძლიერებ ს შეუბრალებელ ბლოკადას იმ დროს, როცა სისხლი აღარ იღვრება. მაშასადამე ხოცვა-ჟლეტა იწყება მას შემდეგ, როცა ის შესწყდა ბრძოლის ველზე. ახალი მკვლელობა ხდება შინ უსისხლოდ და შიმშილის ბლოკადა მით უფრო მწვავეა, რომ ვალდებულად გვხდიან ჩვენს ტერიტორიაზე მტრის ჯარი დავაკმაყოფილოთ სურსათით.

ელზას-ლორენის ეროვნული საბჭო

სტრასბურგიდან მოსული ცნობების თანახმად, ელზასის მეორე პალატამ 11 გიორ. თავის თავი გამოაცხადა ელზას-ლორენის ეროვნულ საბჭოთ და თავის წრიდან დროებითი ადმინისტრატული კომიტეტები აარჩია.

ჰოლანდიის სოციალისტური ორგანო და გერმანიის რევოლიუცია.

ჰოლანდიის სოციალისტური მუშათა პარტიის ორგანო გამოსთქვამს იმედს, რომ სოციალისტური იდეა გავრცელდება გერმანიის საზღვარს იქით. გაზეთი სწერს: ეჭვი არაა, რომ გერმანიის რევოლიუცია გავლენას იქონიებს ევროპის სხვა სახელმწიფოებზედაც. ყველა ქვეყნის მუშას გადაწყვეტილი აქვს, მიჰბაძოს გერმანიის სოციალ-დემოკ., რომელმაც თავისთავზე დიდი საქმე იკისრა. კაპიტალისტურმა სისტემამ საუკუნოდ დაჰკარგა ხალხში ავტორიტეტი. ხალხი გრძნობს, რომ ახალი ფორმა და იდეა ძლიერდება. მუშათა ახალს მოძრაობა ჰოლანდიაში იქითკენაა მიმართული, რომ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს შექმნილი მდგომარეობა. მუშათა კლასს სურს არ გაუშვას ხელიდან ის შესაძლებლობა, რომელიც წინ იშლება.

ზავი

საზავო პირობებისთვის

გერმანული პრესა. 13 გიორგობისთვეს. ნეიტრალი პრესა, ისე როგორც გერმანიის პრესა, აღნიშნავს რომ მოკავშირეთა დროებითი ზავის პირობები მეტად მძიმე და აუტანელია. მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ის მიმართულია ძველი მთავრობის კი არა, გერმანიის ხალხის წინააღმდეგ, რომელიც ახლა თვით განაგებს თავის საქმეს. გაზეთი „სოციალ-დემოკრატიაში“ ბრანტლინგიც კი უწოდებს მას „საშინელს“ და გამოსთქვამს იმედს, რომ მოკლე ხანში ბლოკადას მაინც მოხსნიამ. „დაგენს-ნიეტენი“ სწერს, რომ პირობები თითქმის იგივეა, რომელიც მორდკლიფის პრესაში იყო. გამარჯვებულთა გაუმაძღრობის და შეუბრალებლობის ძველი ისტორია მეორდება. „სვენსკა დაგბლადეტი“ ამბობს: როცა ჩვენ ვკითხულობთ პირობებს, ჩვენ ვგრძნობთ რომ მისი მიზანია ჯავრის ამოყრა. აქ ჩვენ ვერ ვხედავთ საბუთს რომელსაც ისტორია საგულისხმო მომენტში იმუშავებს, რამოდენიმე პასუხისმგებელი პირები ამბობენ ჯვაროსანთა ომზე ბოლშევიკების წინააღმდეგ. ცხადია, რომ მათ სურთ გერმანიის სრული განადგურება. ახალმა გერმანიამ უნდა გაიგოს, რომ ის გამარჯვებულის მსხვერპლია და ძალ-ღონე მოკრებულს ხელფეხი შეკრული აქვს.

გოლანდიის და შვეციის გაზეთები ერთი და იმავე აზრის არიან დროებითი ზავის პირობებზე. „ფატერლანდი“ სწერს: შეუძლებელია ამაზე უფრო მძიმე პირობების წამოყენება. თუ ზავი ისეთი უნდა იყვეს, როგორც ვილსონმა წამოაყენა, ზავი დამყარებული სამართლიანობაზე და ხალხთა შერიგებაზე, რომელიც იწყებს ძმათა კავშირის, ხელჩაკიდებულ მუშაობის და წესწყობილების შეცვლის ხანას, იმ შემთხვევაში კონგრესს სხვა გვარი სულისკვეთება უნდა ამოქმედებდეს და არა ისეთი, რომელიც დროებითი ზავის პირობებშია. „ნიუ-როტერდამეკურანტი“ სწერს: „დროებითი ზავის პირობები შემუშავებულია მანამდე, სანამ გერმანიაში რევოლუცია დასრულდებოდა. ამ ხანად ეს პირობები მიუღებელია. გერმანიის მთავრობამ, შვეიცარიის მთავრობის შუამდგომლობით, ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას შემდეგი ნოტა წარუდგინა: „ეხლა, როდესაც დროებითი ზავი ჩამოვარდა, გერმანიის მთავრობას აუცილებლად მიაჩნია სთხოვოს შეერთებული შტატების პრეზიდენტს ზავზე მოლაპარაკება დაიწყოს. საქმის დაჩქარებისათვის გერმანიის მთავრობა წინადადებას იძლევა შეკრას წინასწარი ზავი და აცნობოს ადგილი და დრო, თუ სად და როდის დაიწყება მოლაპარაკება. იმის გამო, რომ შესაძლოა სურსათის საკითხმა მდგომარეობა გაამწვავოს და ცუდი შედეგი მოიტანოს, გერმანიის მთავრობა დაუყონებლივ ზავზე მოლაპარაკების დაწყებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს“.

გერმანულ დელეგაციაში

ზავის პირობების შემსუბუქება

გერმანელ დელეგაციის ცნობით ზავის პირობები მოკავშირეებს შეუმსუბუქებიათ. გერმანელი პრესსა ბერლინში აღნიშნავს, რომ თუმცა „დასავლეთ ასპარეზიდან გერმანული ჯარის ევაკუაციის ვადა გაგრძელებულია, თუმცა სანაპიროების ბლოკადა შემსუბუქებულია და ჯერ ჯერობით გერმანელ ჯარს ალმოსავლეთშიაც სტოვებენ, დროებითი ზავის პირობები გერმანიისათვის მაინც ძალიან საშიშოა.

პრელიმინარული ზავი.

საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა სოლფმა თხოვნით მიმართა პრეზიდენტ ვილსონს, რათა პრელიმინარული ზავი რაც შეიძლება მალე ჩამოაგდოს.

დამფუძნებელი კრება

სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ გადასწყვიტა მოიწვიონ გერმანიის დამფუძნებელი კრება. დამოუკიდებელმა სოციალისტებმაც ამ დადგენილებას მხარი დაუჭირეს.

„ბოლშევიზმი“

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ფორვერტსი“ მთელ რიგ წერილებში ამტკიცებს, რომ „ბოლშევიზმი გერმანიაში ვერ გაძლიერდება.

გერმანულ ავსტრიაში

გერმანული ავსტრია გერმანიის რესპუბლიკათა კავშირში შევიდა.

გერმანელ ჯარისკაცთა საბჭო თბილისში

ღენერალ ფონ-კრესსმა თბილისში მყოფ გერმანულ ჯარის ყველა ნაწილებს აცნობა კოვნოს ჯარისკაცთა საბჭოს მოწოდება და წინადადება მისცა დელეგატები აერჩიათ თბილისის საბჭოში. საბჭო უკვე შესდგა.

საბჭოს შედგენას ჯარისკაცები სხვა და სხვა ნაირად შეხვდენ. ნაწილი მას სრულიად ზედმეტად სთვლიდენ, ხოლო სხვები ამბობდენ, რომ თუ ყველგან შესდგენ ეს საბჭოები, აქაური ჯარიც ნუ შეადგენს გამონაკლისს.

გერმანული ტრანსპორტი

გუშინ ფოთიდან სევასტოპოლში წავიდა გერმანული ტრანსპორტი და ოფიცერთა კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს გერმანული ჯარის გერმანიაში გაგზავნის პირობები.

გერმანულ დელეგაციის სახელწოდება

გერმანულმა დელეგაციამ თბილისში ბრძანება მიიღო გერმანიის ახალ მთავრობისაგან, რომ ამიერიდან იგი იწოდება არა საიმპერატორო დელეგაციათ, არამედ პირდაპირ: გერმანულ დელეგაციათ.

უცხოეთის ამბები

ტერორი რუსეთში.

ჩემბირის სამაზრო განსაკუთრებულმა კომისიამ ეგანოვის მოკვლის და ბრუნის სიკვდილის განზრახვის გამო დახვრიტა ბურჟუაზიის 48 მძევლი კაპიტალისტი და კონტრევოლიუციონერი.

—

ასპარეზის განსაკუთრებულ კომისიამ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა სვიაჟინსკში 3 და კონტრევოლიუციონერს, კოტელნიჩში 61 კაცს. ყოველ დღე აპატიმრებენ თეთრგვარდიის ოფიცრებს.

—

ლიპეცკის მაზრის განსაკუთრებულ კომისიამ 200 ბურჟუა მოკრიბა და კართობილის ამოღებაზე ამუშავებს. მძევლებად დააპატიმრეს 30 ყოფილი ოფიცრები, 3 მემარჯვენე ესერი, 8 ბურჟუი და 2 მაზრის ყოფილი საერობო უფროსი.

—

მარშანსკის მაზრის განსაკუთრებულმა კომისიამ ღარიბთა ადგილობრივ კომიტეტის თავმჯდომარის მოკვლის გამო სოფ. ისსის 800.000 მ. კონტრიბუცია დაადო. მკვლელი მემარჯვენე ესერი მიიმალა, მის ქონებას კონფისკაცია უყვეს.

—

რიბინსკის განსაკუთრებულ კომისიამ თავის მოქმედება მთელ გუბერნის ფარგლებში გააფართოვა. ბურჟუაზიას ახდევინებენ 5.000.000 ჯარიმას. თეთრი ტერორის საპასუხოდ დახვრიტეს 30 კაცი, დააპატიმრეს აგრეთვე მძევლები.

—

კოტელნიკის მაზრაში ენკენისთვის განმავლობაში 61 კონტრევოლიუციონერი დახვრიტეს. მათ რიცხვში დახვრიტეს აგრეთვე მე-4 სათათბიროს წევრი შაროხოვი.

უცხო თოვა

სასტიკი პასუხისმგებლობის ქვეშ საბჭოს რესპუბლიკის საზღვრებში აკრძალულია ყოველნაირი, როგორც რუსული, ისე უცხო ენებზე დაბეჭდილ გაზეთების გავრცელება, რომელნიც იბეჭდებიან საბჭოს რესპუბლიკის გარედ.

სმოლენსკის დაწვა

სმოლენსკიდან იტყობინებიან, რომ უკვე ოთხი დღეა ქალაქი ცეცხლის ალშია გახვეული. დაიწვა საუკეთესო შენობები.

აჯანყების ჩაქრობა

მოსკოვიდან იტყობინებიან: ვლადიმერში საბჭოს მთავრობის წინააღმდეგ მომხდარი აჯანყება ჩააქრეს. აჯანყება 16 დღეს გრძელდებოდა. წითელლაშქრელებს ბოლშევიკებმა ჯარი მოაშველეს, რომელნიც ქალაქს შემოერტყნენ და 78.000 ყუმბარა ესროლეს. მრავალ ქუჩებში შენობები სულ დაინგრა. სპასკის და ყაზანის მონასტრები ნანგრევებად გადაიქცა.

კამენევის მიმართვა

სამხრეთ ასპარეზის საშიში მდგომარეობის გამო კამენევმა მოსკოვის მუშებს წერილით მიმართა, რომელშიაც ნათქვამია: სამხრეთის ასპარეზი დღეს ყველა ასპარეზებზე მნიშვნელოვანია—სწერს კამენევი—ჩვენ უნდა მოვსპოთ კრასნოვ-ალექსეევის ჯარები მანამდის მათ ინგლისის იმპერიალიზმი მიეშველებოდეს. ეს ასპარეზი ყველაზე ახლოა მოსკოვთან და ამისათვის მოსკოვის მუშებმა უნდა გარდაქმნან ეს ასპარეზი. მოსკოველები უნდა მიეშველნენ სამხრეთ ასპარეზის ჯარებს, უნდა გაიჭრან შავი ზღვის სანაპიროებისაკენ და იქ გამაგრდნენ და დაიცვან რუსეთის საბჭოს რესპუბლიკა ინგლისის იმპერიალიზმისაგან.

კაუცკი სიონიზმის შესახებ

ცნობილ სოციოლოგ კარლოს კაუცკიმ შემდეგი სტრიქონები უძღვნა სიონიზმს: „თანახმად ერთა თვითგამორკვევის პრინციპისა, ამა თუ იმ სახელმწიფოსთან შეერთების უფლება იმ ოლქის მცხოვრებთ ეკუთვნით, რომელნიც შიგ სცხოვრობენ და ამუშავებენ მას და არას შემთხვევაში ესეთი უფლებით არ არიან მოსილნი ისინი, ვინც ამ მიწაზე გარედან მოსვლას აპირებს და მის დასახლებას.

და ამ შემთხვევაშიც პალესტინის ბედი უნდა გადასწყვიტონ თვით პალესტინის მცხოვრებთ და არა ნიუიორკელმა, ან ლონდონის ებრაელებმა.

პალესტინაში 700,000-დე მცხოვრები ითვლება. ამათში 10,000 ებრაელია, დანარჩენი 600,000 არიან არაბები და სირიელები. და ნუ თუ უკანასკნელთა სიტყვა პალესტინის ბედის გადაწყვეტაში გადამწყვეტი არ უნდა იქმნეს?

მათ ხომ ვერ გასდევნით თქვენ მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილი გაიწმინდოს ებრაელთა ეროვნულ სახელმწიფოსათვის?

ებრაელთა პრეტენზიები პალესტინაზე შეუძლებელია დაეყრდნოს ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე; ეს მხოლოდ ისტორიული უფლებაა. ომში გაყუჩებულ მრავალ ისტორიულ უფლებათა შორის, რომელნიც ომმა განაცხოველა, არის ებრაელთა ისტორიული უფლებანი ყველაზე უძველესი 2-ნახევარი ათასი წლის წინად ებრაელთა ნაციის თვითგამორკვევა პალესტინაში მოისპო.

ჰსურთ თუ არა ჩვენ ამერიკელ ან ინგლისელ ამხანაგებს განახორციელონ ებრაელთა ისტორიული უფლებანი პალესტინაში, თუ ჰსურთ მათ პალესტინის თვითგამორკვევის საკითხი დღევანდელი მისი მოსახლეობის პლებისციტის გზით გაიყვანონ.

ერთა თვითგამორკვევა,—სწერს შემდეგ კაუცკი—უარჰყოფს ძლიერთა უფლებას, მოძალადის უფლება არა მარტო იქ არის, სადაც ეს უფლება აშკარად არის წამოწეული, მაგრამ იქაც, სადაც იჩრდილება ისტორიულ უფლებებით, პრეტენზიებით, რომ ის ქვეყანა, რომელიც დაპყრობილთა ოდესმე დამპყრობელს ეკუთვნოდა. თვითგამორკვევის უფლება იქაც უარყოფილია, სადაც მიუთითებენ ეროვნულ პრინციპზე და სცდილობენ დაამტკიცონ, რომ იგი მოსახლეობა უბნობს იმავ ენაზე, რომელზედაც მოძალადე ლაპარაკობს. იქ, სადაც ისმის საკითხი ერთა საზღვარის შეცვლისა, მისი საბოლოო გადაწყვეტა ეკუთვნის უმრავლესობას იმ ოლქისა, ვისზედაც ლაპარაკია.

ბულგარეთში

ბადემირის რესპუბლიკის გამოცხადება.

„გოლ. კიევას“ სოფიიდან ატყობინებენ, რომ 200.000 ბულგარელმა ჯარმა ტირნოვში რესპუბლიკა გამოაცხადა და სახელად ბოდემირის რესპუბლიკა დაარქვა. მათ წინააღმდეგ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

მთაშავეთის ევაკუაცია.

გაზეთი „სლოვ“ იუწყება, რომ მთაშავეთი ამბოხებამ მოიცვა. ავსტრია-უნგრეთის ჯარები სასწრაფოდ მიდიან მთაშავეთიდან. მიღებულ ცნობებით, ცეტინიე 20 ოქტომბერს კომიტატჯებმა აიღეს, ალბანიის ჯარები მთაშაველებს შეუერთდნენ. ავსტრიის მომხრეებს ხვრეტენ.

სომხეთში.

სომხების ეროვნულ საბჭოს განყოფილებამ საქართველოში ლ. მელიანის მაგიერ თავის რწმუნებულად დანიშნა ბაგურიანში ტარაიანი. ლტოლვილთა განყოფილება შეუდგა წალკიდან ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნების საქმის მოწყობას. ამისათვის არჩეულია განსაკუთრებული კომისია.

პურის სუროგატის პროექტის კონკურსი

„იზვესტის“ ცნობით პურის სუროგატის პროექტის კონკურსისთვის დანიშნულია სამი პრემია: 50.000, 25.000 და 10.000 მან. ამ კონკურსზე რუსეთის საკონკურსო კომის[illegible] დებების ვადა უკვე [illegible]

მოსწავლეთა საყურადღებოთ

(ფასიანი კონცერტების გამო).

კვირას 17 გიორგობისთვეს რეალურ სასწავლებლის დარბაზში ჰმართავს პირველ კვარტეტი-კონცერტს ლექციით შეგირდების განსავითარებლად და ესტეტიურად აღსაზრდელად. ეს უფასო კონცერტი ევროპის კულტურის ნაბიჯია ახალგაზრდების წარმატებისათვის. ეს პირველი დაწყებაა „ქართულ სამუსიკო საზოგადოების“ კულტურულ-ფართო ასპარეზზე გამოსვლა და ჩვენი ახალგაზრდობა, და საზოგადოება, დიდის თანაგრძნობით უნდა მიეგებნენ ასეთ სიმპატიურ საქმეს.

ცარიცინის ქართველობა

ქ. ცარიცინის ბოლშევიკები პირველად კარგად ეკიდებოდენ ქართველ საზოგადოებას. ჩვენ ხშირად ვმართავდით კრებებს, ვეხმარებოდით გამვლელ ღარიბ ქართველებს, უფრო ტყვეობიდან განთავისუფლებულთ, იქაურ სოფლების საქონელს, რომელიც მოჰქონდათ ქართველებს უფრო გლეხები უპარდენ და არ უშვებდენ, მეტი წილი ფართლეულობა იყო—ღირებული ორ მილიონ მანეთად.

როცა ბოლშევიკები გამაგრდენ ქ. ცარიცინში მათ დაკეტეს ყველა ეროვნული საბჭოები, უფრო ინგლისელებისა, პოლონელებისა და ქართველებისა, სომხების გარდა.

წაიღეს ქართველთა საბჭოს კანცელარიის ქონება. შეიპყრეს წევრები: კოტე ქურდღვანიძე, ვანო ალაშიძე, ეძებდენ ქართველ კომისარს კობიძეს, რომელმაც გამოასწრო წამოსვლა. სხვები: ლავრენტი დუმბაძე, ილიკო და ლევან ყარანაშვილებს, ლევან სოსანიძეს, ნიკა მალაციძეს და სხვა, რიცხვით 18 კაცამდე გაგზავნეს ომში თხრილების სათხრელად; ან. ლ—ს და მელ. მეტრეველებს (უწერიდან), სპ. მალიშვილს (დუშეთიდან) მისცეს თოფებიც და ყაზახების წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნეს.

საერთოდ რუსეთში მყოფ ქართველებს ცუდათ ეკიდებიან, იჭერენ უმიზეზოდ, უდანაშაულოდ, სდევნიან და ძალად მიჰყავთ თავის ჯარში ყაზახების წინააღმდეგ საბრძოლველად.

უარეს მდგომარეობაში არიან მოსკოვში, სამარის, სარატოვის, ასტრახანის და სხვა.

უგზოობის გამო ქართველები გაჭედებულია ქ. ასტრახანში ათასზე მეტი, ს. კრ[illegible]ში ასამდე, მოზდოკში, ნალჩიკში, პროხლადნაიაში და სხვ. ორიათას[illegible] მათი გაჭირება აუწერელია.

ა. ქურდღვანიძე.

სომხები და მესხეთ-ჯავახეთი

კარგა ხანია რაც სომხები მესხეთსა და ჯავახეთს ეპოტინებიან. 1885 წ. მთავრობას თხოვნა მისცეს, რომ ახალციხე და ახალ ქალაქს სახელი შეეცვალათ. (ახალციხესთვის ჰსურდათ არზრუმი ეწოდებინათ და ახალქალაქს—ახალი ბაიაზეთი). მათი თხოვნა მთავრობამ უყურადღებოთ დასტოვა. სხვაფრივ სომხებს საქმე კარგად წაუვიდათ და მოკლე დროში (1829 წ.) დიდათ გამრავლდენ.

1828 წ. რუსეთმა ოსმალეთთან ომი დაიწყო. სომხებმა შესაფერი სამზადისი დაიწყეს გენერალი ვას. ბებუთოვის და სომხის ეპისკოპოსი კარაპეტის მეთაურობით. მათი წყალობით სომხობა ჩასახლდა მესხეთ-ჯავახეთში 1830 წლებს.

ამათ აი შეადგინს სომეხთა პარტია, რომელთა წევრებად იყვნენ სულ ქვემო ქვეყნელ კრუა სომხები, ამათ აიყოლიეს საქართველოს სომხეთიც. ახალციხე და ახალ ქალაქი რუსებმა აიღეს, ამას მოჰყვა მაზრების დამორჩილება. ქართველ მაჰმედიანები, ქართველ კათოლიკენი და მართლ მადიდებლებიც სიამოვნებით ჩაბარდენ რუსებს და ქვეშევრდომლობაც განუცხადეს.

იქ მალე გაჩნდა ბებუთოვის და კარაპეტ ეპისკოპოსის პარტია. ამათ ქადაგება იწყეს რუსების წინააღმდეგ მათ გამოუცხადეს მაჰმადიანებს, რომ შემოსული რუსობა ყველას გაგაქრისტიანებთო. შეშინებულ მაჰმადიანობამაც დაიწყო აყრა და გარდასახლება. სომხებმა რუსეთის მთავრობას თხოვნა მისცეს, რომ რუსეთის მომხრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხები ოსმალეთის ქალაქებიდამ გადმოსახლდენ იმ ადგილებსა საიდამაც ქართველი მაჰმადიანები იყრებიან და ოსმალეთში სახლდებიანო.

მთავრობამ თხოვნა შეიწყნარა. ეს მოხდა 1827 და 1830 წ. მაშინ აქ ჩასახლდა 30 ათასი სული სომეხი. ამ ჩასახლებით არ გათავდა საქმე. ამ დროს მესხეთისა და ჯავახეთში ქართველ მაჰმადიანთ რიცხვი საკმარისი იყო, დაუწყეს სომხებმა პროპაგანდა, რომ რუსები თქვენ უსათუოთ გაქრისტიანებენ, რადგანაც ქართულათ ლაპარაკობთ და გვარებიც ქართული გაქვსთო.

ამ გარემოებით ისარგებლეს სომხებმა და დარჩენილებიც გადასახლდნენ ოსმალეთში. მათ წასვლის უმალვე მათს სოფლებში სომხები სახლდებოდენ.

1830 წლიდამ გამრავლდა მესხეთსა და ჯავახეთში სომხის მოდგმა, ქართველებმა მაინც შეინახეს თავი და დღემდე მესხეთსა და ჯავახეთში, ქართველ ქრისტიანთა რიცხვიც სჩანს და მათი სოფლების რიცხვი არც ისე მცირეა რაც არის, ამასაც მოვიყვანთ.

მესხეთის, ანუ ახალციხის მაზრის სოფლები:

1) დიდი აგარა, 35 კომლი, მართლმადიდ. ქართულათ მოლაპარაკენი.

2) ანდრია-წმინდა 60 კომლი, მართ. მადიდ. ქრისტ. ქართულათ მოლაპარაკენი.

3) არალი, 120 კომლი, ქართველი კათოლიკ. ქართულათ მოლაპარაკენი.

4) ახალშენი, 10 კომ. მართ. მად. ქრისტ. ქართ. მოლაპარაკენი.

5) აწყური, 20 კომ. მართ. მად. ქრისტ. ქართულ. მოლაპარაკენი.

ზენარა, 8 კომლი, მართ. მად. ქრისტ. ქართულ მოლაპარაკენი.

6) ბნელა, 8 კომ, მართ. მად. ქართვ. და ქართვ. კათოლიკე ქართულ. მოლაპარ.

7) ბოლაჟური, 10 კომ. ქართ. კათოლიკ. ქართ. მოლაპარაკ.

8) ვალე, 230 კომლი, ქართვ. კალიკ. ქართ. მოლაპარ.

9) გოგიეთი. 5 კომ. მართ. მად. ქართულ. მოლაპ.

10) დადეში, 50 კომ. მართ. მად. ქართ. მოლაპ.

11) დოღვარი, 25 კომ. მართ. მადიდ. ქართ. მოლაპ.

12) დვილი, 50 კომ. მართ. მადიდ. ქართ მოლაპ.

13) ზედა თმოგვი, 50 კომ. მართ. მადიდ. ქართ. მოლაპ.

14) ზურზული, 50 კომ. მართ. მადიდ. ქართულ. მოლაპ.

15) ქვაბის-ხევი, 35 კომ. მართ. მადიდ. ქართ. მოლაპ.

16) კუნცა, 20 კომ. მართ. მად. ქართ. მოლაპ.

17) მიქელ-წმინდა, 5 კომ. მართ. მად. ქართ. მოლაპ.

18) სოკეთი, 30 კომ. მართ. მადიდ ქართ. მოლაპ.

19) საკირეთი, 60 კომ. მართ. მად. ქართულ. მოლაპარ.

20) ტაძრისი, 40 კომ. მართლ. მად. ქართ. მოლაპ.

21) ტატანისი, 20 კომ. მართ. მად. ქართ მოლაპ.

22) ტყემლანა, 10 კომ მართ. მად. ქართ. მოლაპ.

23) ტობა, 15 კომ. მართ. მად. ქართ მოლაპ.

24) ტოლოში, 30 კომ. მართ მად. ქართ. მოლაპ.

25) უდე, 220 კომ. ქართ. კათოლ. ქართ. მოლაპ.

26) წნისი, 10 კომ. მართ. მად. ქართ. მოლაპ.

27) ქობარეთი, 40 კომ. მართ. მად. ქართ. მოლაპ.

28) ერკოტა 50 კომლი მართლმად. ქართ. მოლაპ.

29) რაბათი 70 კომლი მართლმად., 400 კომლი ქართ. კათოლ. ქართულად მოლაპარაკენი.

30) აბასთუმანი 10 კომ. ქართ. კათ. და ქართ. მართლმად. ქართულად მოლაპარაკენი.

31) ახალციხე, სამაზრო ქალაქი, რამდენიმე ასი მოსახლე ქართვ. კათ. და ქართველ მართლმადიდებელთა ენა მათი არის ქართული.

32) საფ 5 კომ. მართლმად. ქართ. მოლაპ. ამ ქრისტიან ქართველთ სოფლებით თავდება მესხეთის ანუ ახალციხის მაზრის სოფლები. ამის აღმოსავლით დაიწყება ჯავახეთი, ანუ ახალქალაქის მაზრა და მისი სოფლები:

33) სარო 70 კომ. მართმად. ქართ. მოლაპ.

34) ხიზაბავრა 240 კომ. ქართელი კათოლიკენი.

35) ვარგავი 30 კომლი ქართ. კათ. ქართულად მოლაპ.

36) ცოკი 50 კომ. მართლმად. ქარ. მოლაპარ.

37) ვარევანი 30 კომლი მართლმად. ქართულ. მოლაპარ.

38) კონელია 90 კომ. მართლმად. ქართ. მოლპარ.

39) ბარალეთი 70 კომ. მართლმად. ქარ. მოლაპარ.

40) აზავრეთი 5 კომ. მართლმად. ქართულად მოლაპარ.

41) ბალანთა 5 კომლი მართლმად. ქართ. მოლაპ.

42) ქისრელი 5 კომლი მართლმად. ქართ. მოლაპ.

43) ხუმარისი 5 კომლი მართლმად. ქართ. მოლაპ.

44) მურჯახეთი 20 კომ. მართლმად. ქართ. მოლაპ.

45) ახალქალაქი 10 კომ. მართლმად. ქართ. მოლაპ.

46) ბრეტენა 50 კომლი მართმად. ქართ. მოლაპ.

47) ჩუნჩხა 50 კომ. მართლმად. ქარ. მოლაპ.

48) ქილდა 70 კომ. მართლმადიდ. ქართ. მოლაპარ.

49) გოგაშენი 70 კომ. მართლმად. ქართ. მოლაპ.

50) აფაშია 30 კომ. მართლმადიდ. ქართ. მოლაპ.

51) კარტიკამი 150 კომ. ქართველი კათ. ქართული ენა დაკარგეს.

52) ხელგუმო, ქართველ კათოლიკენი, ქართული ენა დაკარგეს.

53) ბავრა 30 კომ. ქართ. კათოლიკ. ქართული ენა დაკარგეს.

54) ეშტია, 220 კომ. ქართ. კათოლიკე, ქართული ენა დაჰკარგეს.

55) ტურცხა 50 კომ. ქართვ. კათოლიკე, ქართველი ენა დაჰკარგეს.

56) ალასტანი, 5 კომ. ქართ. კათოლიკე, ქართული ენა დაჰკარგეს.

აქ მოხსენებულ ექვს სოფლის ქართველ კათოლიკეებმა ქართული ენა დაჰკარგეს. დღეს ოსმალურად ლაპარაკობენ, იგინი დღეს ირიცხებიან სომეხ კათოლიკეთ და მათ ეკლესიებშიც სომხურად სწირავენ.

ქართველ კათოლიკებს სომხურად უნათლავენ შვილებს, სომხურ სახელებს არქმევენ და მასთან საყდრებში უქადაგებენ, რომ სომხები ხართ და თქვენი დედა-ენაც სომხური ენა არისო. ასეთ ეშმაკობით იგინი ქართველ კათოლიკებს ენით და ტომით ასომხებენ.

ასე გაასომხეს მათ მთელი შავშეთის ქართველი კათოლიკენი. ასევე სხვა კუთხეებშიაც, უფრო კი ართვინში.

აქ ჩვენ ავნუსხეთ 56 სოფ. ქართველთა, ქრისტიანების, რომელნიც ორს მაზრასა, ანუ მესხეთსა და ჯავახეთში სცხოვრობენ. ამათ გარდა კიდევ არის მოსახსენებელი 10-დე პატარა სოფელი ქართველ ქრისტიანებისა.

მაშასადამე სულ გამოვა 65 სოფელი, სადაც ქართველი ქრისტიანები სცხოვრობენ ამ ორს მაზრაში. ვგონებთ, მკითხველო, რომ ეს რიცხვი მცირე არ უნდა იყოს იმ გარემოებისათვის, რომ ეს კუთხეები საქართველოს საკუთრებად იქმნეს ცნობილი.

აქ საქმე იმაშია, რომ ქართველი ტომი ამ კუთხეებში მარტოთ ამით არ განისაზღვრება, ამ კუთხეში, ქართველ-ქრისტიანებს გარდა, მრავლად არიან ქართველი მაჰმადიანები და ქართველი ისრაელნი.

ქართველ მაჰმადიანთა რიცხვი ქართველ ქრისტიანებზე მეტია და სოფლების აღრიცხვა რომ იქმნეს, მაშინ ქართველ მაჰმადიანთა 100 სოფელი მესხეთში 100 სოფელიც ჯავახეთში. 10 სოფლის მცხოვრებთა შორის ცხოვრობენ ქართველი ისრაელნი. ამგვარად ორივ მხარეში უნდა ვიანგარიშოთ 276 ქართულ ტომის სოფელი. სომხების რიცხვი კი ორსავ მხარეს განისაზღვრება სულ 30 ათასი სულით.

მაშ ვის უნდა ეკუთვნოდეს უპირატესობა ამ კუთხეში, 30 ათას, გინდ 50 ათას სულს, თუ 200 ათასზე მეტს? ვგონებთ ამას განმარტება აღარ სჭირია, სამწუხაროდ, სომხებს სურთ ჩვენი საკუთრების წართმევა ისე, როგორც ქართლსა და კახეთში უხვად მიითვისეს დიდ ძალი მამულები.

ზ. ჭ.

ქუთათელი მიტროპოლიტი.

ქუთათელ მიტროპოლიტის ანტონის გარდაცვალების შემდეგ გიორგობისთვის 1-ლს ქუთაისში საეპარქიო საბჭოების და სასამართლოების წევრთ, და ეპარქიის საოლქო საბჭოების წარმომადგენელთ ქუთაისის მიტროპოლიტად აღირჩიეს არქ. **ნაზარი.**

არქიმანდრიტი ნაზარი (ერობაში ნესტორ ლეჟავა) დაიბადა 1871 წ. დიდ ჯიხაისში. განათლება მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1892 წელს დაასრულა. შემდეგ ის მღვდლად ეკურთხა; შვიდი წლის მღვდლობის შემდეგ მან განიზრახა დორპატის უნივერსიტეტში შესვლა, მაგრამ რუსეთის სინოდმა ნება არ დართო, შემდეგ ის იძულებული გახდა თავის მრევლს დაჰბრუნებოდა. მალე დაქვრივდა და ამ გარემოებამ საბოლოოდ გადასწყვიტა მისი ბედი; 1901 წელს ნ. ლეჟავა კიევის სასულიერო აკადემიაში შევიდა სტუდენტად, სადაც კურსი დაამთავრა 1905 წელს მაგისტრანტის ხარისხით: აკადემიაში ყოფნისას ის აღიკვეცა ბერად. კურსის დასრულების შემდეგ მღვდელ-მონაზონი ნაზარი დაინიშნა რუსეთში პირველად ჟიტომირის სასულიერო სემინარიაში ღვთის მეტყველების მასწავლებლად და მერე კლუკინის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. ამ ხანას იერომონაქმა ნაზარიმ მოიხილა აღმოსავლეთი, ათონი და კონსტანტინოპოლი; ინახულა მსოფლიო პატრიარქი რომელსაც ამცნო საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის საჭირბოროტო საკითხები და მოძრაობის მნიშვნელობა. 1911 წ. ნაზარი არქიმანდრიტად აკურთხეს და გამოიყვანეს იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად და საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორის წევრად, სადაც ის მუდამ დარაჯად უდგა საქართველოს ეკლესიის ინტერესებს. როდესაც საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალობა გამოაცხადადა სინოდალური კანტორა დაიხურა, არქიმანდრიტი ნაზარი აირჩიეს თბილისის სასულიერო სემინარიაში ღვთისმეტყველობის მასწავლებლად, სადაც ის განაგრძობდა სამსახურს უკანასკნელ დრომდე. არ შეგვიძლია არ მივესალმოთ ქუთაისის მიტროპოლიტის არჩევნებს: არქიმანდრიტი ნაზარი უკვე საკმაოდ გამობრძმედილია ცხოვრებაში, განათლებული, საეკლესიო ცხოვრებაში ჩაკვირვებული და სამაგალითო ადმინისტრატორი. მაგრამ, რაც უფრო საყურადღებოა, ის თვით იმ ეპარქიის ღვიძლი შვილია, რომლის საჭეთმპყრობელობა ბედმა არგუნა? ვუსურვებთ ახლად განწესებულ ენერგიულ მწყემს-მთავარს მხნეობასა და ენერგიას, რომ ადგილობრივ ჭეშმარიტ საეკლესიო ძალთა დახმარებით, სათანადო სიმაღლეზე დააყენოს ის კათედრა, რომელსაც ამშვენებდა ხულმნათი გაბრიელ ეპისკოპოზი. 12 გიორგობისთვის სხდომაზე საკათალიკოზო საბჭომ მოისმინა ქუთაისიდან წარმოგზავნილი ოქმი არჩევნებისა, დაამტკიცა ის და დაადგინა 17 გიორგობისთვეს, კვირას მცხეთაში აკურთხოს მიტროპოლიტად ახლად არჩეული არქიმანდრიტი ნაზარიოსი.

სახელწოდება მისი ქუთათელ მიტროპოლიტად დანიშნულია შაბათს 16 ამა გიორგობისთვეს დღის ორ საათზე სიონის ტაძარში.

დიდლიახველი.

კორესპონდენცია

იმერეთი

(წერილი თერჯოლიდან)

სოფ. თერჯოლა (იმერეთი). ცხადია, რომ უმაგალითო ევროპის ომის შედეგები ქალაქს უფრო დაეტყო ვიდრე სოფელს. ომმა მოსპო ყოველივე წარმოება ქალაქებში, და იგი უძლური შეიქმნა მიაწოდოს რამე სოფელს ნაცვლად მისგან შემოტანილ სანოვაგისა.

მართალია, ომამდისაც სოფელი კვებავდა ქალაქს, მაგრამ სამაგიეროდ ქალაქიდანაც იღებდა ინდუსტრიულ ნაწარმოებს. დღეს სოფელი თავის თავსაც ირჩენს და ქალაქსაც. ჩვენის აზრით სანოვაგის სიმცირეს უნდა მიეწეროს წრეულ ზაფხულის მომხდარი მასიური აჯანყებანი სოფლად ვიდრე სხვა რამე მიზეზს. დამშეული ხალხი საშუალებას ეძებდა როგორმე თავი დაეღწია სიმშილობისთვის და ამ დროს სარგებლობენ ავანტიურისტები და ხალხს ბოლშევიზმით შეელას ჰპირდებიან.

დღეს ჩვენში სიმშვიდეა. ეს არა მარტო იარაღს მიეწერება, არამედ იმასაც, რომ შემოდგომამ მოაწია. ხალხმა მოსავალს შეჰხედა და გული დაიკმაყოფილა.

სოფლად სიწყნარეა ქურდ-ბაცაცები მიიმალნენ, აღარ ისმის ცრუ ხმები, ძვირად გაიგონებ გაძარცვეს ან მოკლეს და თუ სადმე მოხდება სასტიკ ზომებს იღებს ხოლმე თვით სოფელი. სიმშვიდეს ხელი შეუწყო იმანაც რომ თვითეულ სოფელმა საყარაულო რაზმი შეადგინა.

ჩვენი სოფელი ვერ არის გამართული და ბევრშია ჩამორჩენილი. შედარებით სწავლა-განათლების საქმეში მეტია გაკეთებული. იშვიათია სოფელი, რომ იქ სკოლა არ იყოს. მოძრაობის შემდეგ სოფლების მსხვილ ცენტრებში პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებლები გაიხსნა, რაც დიდ სამსახურს უწევს სოფელს. ცოტა არ იყოს უკმაყოფილებას იწვევს აწეული სწავლის ფასები.

მიწის რეფორმამ ჩვენში დიდი გაუგებრობა გამოიწვია. აქეთ დიდი მემამულეები არ არიან (გარდა დ. ბაგრატიონისა). მიწები ჩამოერთვა ისეთ პირებს, რომელთაც თავის შრომით და შეცადინეობით ჰქონდათ შეძენილი. გლეხებში საყვედურსაც გაიგონებთ ამის გამო.

ასეთი დიდი და პასუხსაგები რეფორმა მეტის სიჩქარით და წინდაუხედაობით ხდება ჩვენში. გაიგონებს თუ არა კომისია, რომ ამა და ამ პირს ზედმეტი მიწა აქვსო, მიდის და თვალ და თვალ ართმევს. წელს მემამულეებმა (თუ შეიძლება ასე ეწოდოს ჩვენებურ მიწის მეპატრონეს) ველარ მიიღეს თავის მამულებიდან შემოსავალი. 90 პროც. ამ შემოსავლიდან დამმუშავებელმა წაიღო, მხოლოდ 10 პროც. კი სახაზინოდ გადაიდო.

საქართველოს დამოუკიდებლობა ხალხს ნაკლებად ესმის. მისი აზრით ჩვენ უსათუოდ ვისმეს უნდა ვეკუთვნოდეთ და ახლა ჰგონიათ, რომ გერმანელებმა დაგვიპყრეს. თუ ჩვენ რაიმე წესწყობილება გვაქვს და მთავრობაც გვყავს ხალხმა არაფერი არ იცის. მობილიზაციის საქმე სოფლად არც ისე კარგადაა. „დეზერტირობა“ მრავლდება.

ბოლოს არ შემიძლია ყურადღება არ მივაქციო ერთ გარემოებას: ამ ჟამად თერჯოლის საზოგადოებაში მძვინვარებს საქონლის ჭირი. ხალხი დიდ გაჭირვებაშია, მაგრამ შველა არსად არი.

ვანო სალაძე.

მცირე ამბავი

14 გიორგობისთვეს დილით მოვიდა ქართველი ქალი სამისამართო ბიუროში და მოითხოვა ფურცელი სადაც უნდა დაეწერა გვარი და სახელი ვისაც ეძებდა, ფურცელი მიაწოდა იქ მოსამსახურე ქართველ მანდილოსანმა და უთხრა — „უსათუოთ რუსულად დასწერეო, მან უპასუხა რუსული არ ვიციო და მოსამსახურემ არავითარი პასუხი არ მისცა ისე გაბრუნდა. შემდეგ მთხოვა მე დამეწერა რუსულათ და თხოვნა აღვასრულე. ნუ თუ კიდევ არის ისეთი უწყება რომ ქართულად დაწერილს არ იღებდნენ?

ალ. შანიძე.

თეატრი და მუსიკა

სახელმწიფო თეატრი. დღეს მიდის სპექტაკლი Gala: ალეშკოს, „სოფლის სინიდისი“ და „ჯამბაზები“ ორდას, შულგინის, კანშინის და სხ. მონაწილეობით კვირა დილით „M me ბატერფლეი“ და ბალეტი „ქორწილი მალოროსიაში“.

კონცერტი. კვირას, 17 გიორგობისთვეს რეალურ სასწავლებლის დარბაზში ქართული სამუსიკო საზოგადოება ჰმართავს უფასო „კამერულ“ კონცერტს მოწაფეებისათვის. ლექციას გერმანულ მუსიკის შესახებ წაიკითხავს ცნობილი ლ. სამინსკი.

რედაქტორი **გერონტი ქიქოძე.**

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

თბილისიდან გადის

			საათი	წ.
ფოთისკენ	№ 23		7	50
„	№ 3	ღამის	10	30
ქუთაისისკენ	№ 9/10	საღამ.	7	17
განჯისკენ	№ 4	ღამის	11	10
„	№ 8	დღის	3	35
სანაინისკენ	№ 4/30	დღის	1	—

თბილისში მოვა

ფოთიდან	№ 24	შუად.	12	47
„	№ 4	საღამ.	6	54
ქუთაისიდან	№ 11/12	დილის	6	53
განჯიდან	№ 3	საღამ.	4	30
„	№ 7	დღის	8	30
სანაინიდან	№ 40/3	დილის	11	—

თბილისის დროით.

პერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9 11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიულ . სიფილ-ტ...ს. 606—914 ...ლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იმხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხატიძე—ბაქტეროოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი ა. დ. ალექსიძე.

ქალ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა
**ქირ. და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებ.**
მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
**ალექსანდრე დავითის ძის
ჰეჰელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მარტის 20 გაიხსნა ახალი
სამკურნალო
უღარიბეს ავადმყოფთათვის
ექიმ ს. ვ. მჭედლიშვილის და ლ. ნ. ნასყიდაშვილის**

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის („კიროჩკინი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩკინი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

ნიკ. ი. მაჩაბელი
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია
მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.
ზემელის აფთიაქის მახლობლად.
ტ.—1536—50

ექიმი
ნ. ი. დემეტრაძე
იღებს შინაგან და სალოსტაქრო ავადმყოფებს ყოველ დღე 3—6 ს. წყნეთის ქუჩა № 25. (14—1867—2)

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
ბ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, პლეკისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

გაიხსნა
თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.
ტელეფონი 5—97.

ექიმი
ა. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

დოქტორი მედიცინისა
[illegible]
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა
ალ. ასათიანის ნაწერი
მიწის საკითხი
საქართველოში
წინასწარი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში.
(10—10)

კვირას, გიორგობისთვის 17-ს გამოვა
ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატების
ორ-კვირეული ჟურნალი
„ახალი ძალა“
ფასი ორი მანეთი
ჰრედაქტორობს კოლეგია

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 1.